

საქართველოს კანონი

საქართველოს სამოქალაქო კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (საქართველოს პარლამენტის უწყებანი, 1997 წ., №31) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილებები:

1. 31-ე მუხლის მე-3 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“3. კავშირისა და ფონდის სახელმწიფო რეგისტრაციის ერთიან რეესტრს აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური.”

2. 31-ე მუხლის მე-5 ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

“5. კავშირისა და ფონდის სახელმწიფო რეგისტრაციის რეესტრს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახური აქვეყნებს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში თვეში ერთხელ, არაუგვიანეს მომდევნო თვის 5 რიცხვისა.”

მუხლი 2. კანონი ამოქმედდეს 2007 წლის 1 იანვრიდან.